



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
TERJOLA MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება:ბ28.282114114

თარიღი:21/05/2021

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა

საბჭოს შექმნის და საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, 86¹ მუხლის პირველი ნაწილისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

- ა) **ლაშა გოგიაშვილი** - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი - საბჭოს თავმჯდომარე;
- ბ) **ივანე მარუაშვილი** - მერის თანაშემწე- საბჭოს მდივანი;
- გ) **სოფიო ბუსკივაძე** - (ექიმი)- საბჭოს წევრი;
- დ) **ელისო მურადაშვილი** - სკოლის დირექტორი, მეწარმე -საბჭოს წევრი;
- ე) **მევლუდი გეწაძე** - ადგილობრივი მეწარმე/ბიზნესმენი -საბჭოს წევრი;
- ვ) **ნიკა კახიძე**-ბანკის თანამშრომელი - საბჭოს წევრი;
- ზ) **ლია ჩხიკვაძე** - სკოლის დირექტორი -საბჭოს წევრი;
- თ) **ალექსი ცქიფურიშვილი**- ადგილობრივი ბიზნესმენი- საბჭოს წევრი;
- ი) **ირაკლი კუბლაშვილი** - ადგილობრივი ბიზნესმენი -საბჭოს წევრი;
- კ) **ზურაბ აბესაძე** -სტუდენტი -საბჭოს წევრი;

მუხლი 2. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება N1 დანართის შესაბამისად;

მუხლი 3. საბჭოს სხდომის ორგანიზების, სხდომის ოქმის შედგენის, გაფორმების და სხვა ორგანიზაციული ფუნქციების განსახორციელებლად საბჭოს მდივნად დაინიშნოს მერის თანაშემწე ივანე მარუაშვილი.

მუხლი 4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 25 ივნისის N45 1292 და 2018 წლის 25 ივნისის 1289 ბრძანებები;

მუხლი 5. ბრძანება ჩაბარდეს მრჩეველთა საბჭოს წევრებს;

მუხლი 6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

მუხლი 7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით. __

ლაშა გოგიაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

